ოქმი:**ო37. 37250732**

თარიღი:**14/03/2025**

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2025 წელი, 14 მარტი
ქ. ოზურგეთი
11.00 -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, თ. გოგუაძე, გ. შილაკაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32 -მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 32-ხმით.

დღის წესრიგი

5.1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

6.2.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ. **მომხსენებელი: დავით დარჩია**

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

საკრებულოს წევრმა თ. ტუღუშმა მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას სოფელ ნატანებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. ამასთან დააყენა საკითხი ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი შეკვეთილის დასახლების დამისამართებაში არსებული ხარვეზების გამოსწორების თაობაზე.

7.3.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

საკრებულოს წევრმა ლ. კილაძემ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას სოფელ მელექედურში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტისათვის.

4.4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლებების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

8.5. ქალაქ ოზურგეთში, ვიქტორ დოლიძის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

9.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ: 26.36.03.066, 26.36.02.159, 26.26.56.333, 26.26.47.335, 26.26.53.191, 26.26.51.313, 26.26.55.277, 26.18.11.431, 26.18.12.323, 26.18.15.312, 26.18.17.125, 26.12.14.227, 26.05.24.568, 26.05.22.315, 26.01.84.427, 26.08.06.288, 26.08.01.340) უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

10.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში მდებარე N44 ქუჩისათვის ,,ირაკლი ბაქანიძის“ სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

11.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში მდებარე N15 ქუჩისათვის ,,წმინდა ნიკოლოზის“ სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32- ხმით

9. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე